

შპს „ვაზიანი კომპანი“ (ს/კ **406074019**)

კონსოლიდირებული მმართველობითი და ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

შპს „ვაზიანი კომპანი“ 406074019

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

მმართველობითი ანგარიშგება შპს „ვაზიანი კომპანი“

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს 2024 წლის 08 სექტემბერს გამოცემულ „მმართველობით ანგარიშგება“-ზე. აუდიტორის დასკვნა კონსოლიდირებულ მმართველობით ანგარიშგებაზე არ მოიცავს იმ მოვლენების ეფექტს, რომელიც წარმოიშვა 2025 წლის 08 სექტემბერის შემდეგ. მმართველობით ანგარიშგებაში აღწერილია მოვლენათა ეფექტი, რომელიც დაკავშირებულია დედა კომპანია შპს „ვაზიანი კომპანი“-ს და მისი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობასთან. წარმოდგენილია მმართველობითი ანგარიშგების მთავარი და მნიშვნელოვანი პრონციპები, როგორებიცაა: კომპანიის საქმიანობის აღწერა და გაცნობა აუდიტორიისათვის, კომპანიაში მიმდინარე მნიშვნელოვანი პროცესების შეფასება, მართვის სტრუქტურა და გადაწყვეტილების მიღების ფორმები, დარგში რისკებისა და საფრთხეების შეფასება, კომპანიის მიზნების, ამოცანების წარმოდგენა. ამავდროულად, მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- კონსოლიდირებულ მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავ ეფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

საქმიანობის მიმოხილვა/კომპანიის ძირითადი საქმიანობა და განვითარების გეგმები

შპს „ვაზიანი კომპანი“ (შემდგომში – კომპანია) დაფუძნდა 2012 წლის 27 ივლისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს). საიდენტიფიკაციო კოდი: 406074019, კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თელავი, მშვიდობის ქ., №42. კომპანიის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელია: კონსტანტინე გაგუა (პ/ნ: 01026001004). კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს:

- ▶ ყურძნის მოყვანა;
- ▶ ღვინის წარმოება ყურძნისაგან;
- ▶ საბითუმო ვაჭრობა ალკოჰოლიანი სასმელებით;
- ▶ საცალო ვაჭრობა სასმელებით სპეციალიზებულ მაღაზიებში.

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

შპს „ვაზიანი კომპანი“ (ს/ნ: 406074019) არის დედა კომპანია, რომელსაც ჰყავს შვილობილი კომპანია:

1. ტალავერი (ს/N 405461904) – 100%

კომპანიის უმაღლესი მართვის ორგანოს წარმომადგენს პარტნიორთა საერთო კრება, რომელიც შედგება კომპანიის დამფუძნებლებისაგან. ძირითადი და საკვანძო საკითხების განხილვა, რომელიც ეხება კომპანიის სამომავლო გეგმებსა და პერსპექტივებს, ხდება აქციონერთა საერთო კრებაზე.

კომპანიის დამფუძნებლები:

- ნუგზარ ჭიჭინაძე, 01008015427 17.872%;
- ირაკლი იაშვილი, 01008000365 33.549%;
- ბარბალე იაშვილი, 01024067190 7.17%;
- ქეთევან წვერავა, 01008012773 4.29%;
- მიხეილ იაშვილი, 01024002770 33.549%;
- ლევან ალავეძე, 01005000148 3.57%

პარტნიორთა საერთო კრების უფლებამოსილება მიიღოს გადაწყვეტილება:

- საზოგადოების წესდების ცვლილების თაობაზე;
- წილების შეძენა და გასხვისება, ასევე საწარმოთა შეძენა და გასხვისება და ლიკვიდაცია;
- ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია;
- ადგენს უძრავი ქონების შეძენასა და/თუ კრედიტის აღებასთან დაკავშირებით იმ საფინანსო ფარგლებს, რომელშიც ვრცელდება სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილება;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევის თაობაზე;
- მოგების (დივიდენდის) განაწილებაზე;
- ასევე, ყველა სხვა საკითხთან დაკავშირებით, რომელთა გადაწყვეტაც კანონით ევალება პარტნიორთა კრებას.

აღსანიშნავია, რომ წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კომპანია შპს „ტალავერი“ 2021 წელს შპს „ვაზიანი კომპანი“-მ დაარსა. შპს „ტალავერი“, ასევე, ახორციელებს ღვინის ექსპორტს სტრატეგიულ ბაზრებზე.

კომპანიის მიზანი: სტაბილური პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება საერთაშორისო ბაზრებზე, რაც ხარისხთან პირდაპირ პროპორციულია. ჩვენ, როგორც ქართული კულტურის იდენტობასთან ასოცირებული პროდუქტის მწარმოებლები, აქტიურად ვადევნებთ თვალს საერთაშორისო ღვინის ბაზარზე განვითარებულ მოვლენებს, ახალ ტენდენციებს და ვცდილობთ, დავსახოთ ის სტრატეგიული ამოცანები, რაც ხელს შეუწყობს კომპანიის შემდგომ განვითარებას და ქვეყნის მთავარი ბრენდის სათანადოდ წარმოჩინებას.

2024 წელს ს „ვაზიანი კომპანია“-ში და მის შვილობილ საწარმოში საშუალოდ 72 ადამიანი იყო დასაქმებული, კომპანიის სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე უფრო მეტი მამაკაცია დასაქმებული, ვიდრე ქალი. აღსანიშნავია, რომ ქალთა რაოდენობა კომპანიის მენეჯმენტში და საკვანძო თანამდებობებზე საკმაოდ მაღალია. ჯგუფში შემავალი ორგანიზაციები დაკომპლექტებულია ოპტიმალური რაოდენობის პერსონალით, რომელსაც გააჩნია საქმიანობისათვის საჭირო კვალიფიკაცია და პრაქტიკული გამოცდილება. თითოეულ თანამშრომელი გაცნობილია დეტალურად გაწერილ სამუშაო უფლება-მოვალეობას და პასუხისმგებლობას. პერსონალი გაცნობილია საერთაშორისო სტანდარტებს და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს საქმიანობის სფეროს მიმართ და გადის შემავალ და მიმდინარე სწავლებებს კვალიფიკაციის ასამაღლებლად. კომპანიის სტრუქტურა შედგება ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზით დაკავშირებული დეპარტამენტებისგან. რომელთა შორის საოპერაციო საქმიანობის უკეთ ორგანიზირებისა და გაუმჯობესების მიზნით, ხორციელდება ყოველდღიური რეპორტინგი. აღსანიშნავია ისიც, რომ სტუქტურაში ზოგიერთი განცალკევებული დეპარტამენტები ასრულებენ ერთმანეთის ჯვარედინი მეთოდით შემოწმება/კონტროლს, რითაც ვახდენთ რისკების გამოვლენის და შესაბამის მაკორექტირებელ ღონისძიებების აღსრულებას.

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში ქვემოთ წარმოდგენილია 2021 წლიდან კონსოლიდირებული ფინანსური მაჩვენებლები წლების მიხედვით:

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

წელი	შემოსავალი (ლარი)
2021	5,178
2022	3,898
2023	4,092
2024	3,182

კომპანიის ორიენტირება მომხმარებელზე

ჯგუფი პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებს მომხმარებელზე ორიენტაციას. აქედან გამომდინარე, კომანიაში შემუშავებულია პროცედურა, სადაც დგინდება დებულებით, რომ ჩვენი მომხმარებლების მოთხოვნები და პრობლემები პროდუქტთან მიმართებაში იყოს გამოვლენილი და გაანალიზირებული. ორგანიზაციის საქმიანობის ხარისხის შეფასების მიზნით, შესაბამის დეპარტამენტის ორგანიზირებით მუდმივად ხორციელდება მომხმარებლის აზრის კვლევა „ორიენტირება კლიენტზე“. ამისათვის გამოიყენება შემუშავებული კითხვარი. აქვე გასათვალისწინებელია, რომ კომპანიის პირველი დონის მომხმარებელი არის უშუალოდ პროდუქციის ექსპორტიორი. ამიტომ მნიშვნელოვანია საექსპორტო ბაზრებზე პოზიციის გამყარების მიზნით და მეტიც, ბაზრის გარკვეულ სექტორში დომინანტი პოზიციის დამკვიდრებისთვის უმნიშვნელოვანესია ამ კვლევის ჩატარება. 2024 წელს ჩატარებულმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ ჩვენი უშუალო პარტნიორები ხარისხობრივად დადებითად აფასებენ „ვაზიანი კომპანიის“ პროდუქციას.

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები

ჯგუფისთვის მნიშვნელოვანია ფინანსური რისკების იდენტიფიცირება, რათა დროულად მოხდეს მავორექტირებელი ან/და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმა და რეალიზება უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების მიზნით.

კომპანია გამოყოფს ძირითად ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკები
- სავალუტო რისკი
- საოპერაციო რისკები
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკები

კომპანია დიდ ყურადღებას უთმობს კორპორაციულ მართვას. მისი ყოველივე ქმედება დაკავშირებულია შემდეგი პრინციპების საფუძველზე:

- თანასწორობა - თანასწორობის პრინციპი გულისხმობს ყველა აქციონერის თანაბარ შესაძლებლობას დაიცვას მისი სამართლებრივი, თუ ბიზნეს ინტერესები და უფლებები, რისთვისაც კომპანიაში იარსებებს ქმედითი მექანიზმი. გაუგებრობის გამოსარიცხად, თანასწორობის პრინციპის მოქმედება არ გულისხმობს სხვადასხვა კატეგორიის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სხვადასხვა რაოდენობის აქციების მფლობელ აქციონერთა გათანაბრებას.
- კომპანიის მართვაში ჩართულობა და ინფორმირებულობა - აქციონერებისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ აქციონერთა შეხვედრებში, დროულად მიიღონ ინფორმაცია აქციონერთა საერთო კრების გამართვის შესახებ, ასევე აქციონერთა საერთო კრებაში მონაწილეობის შეუძლებლობის შემთხვევაში, დროულად მიეწოდოს ინფორმაცია მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ. ასევე, მიიღონ ნებისმიერი სხვა ინფორმაცია დროულად, რამაც შესაძლებელია, გავლენა იქონიოს მათ უფლებებსა და მოვალეობებზე.
- კომპანიის მმართველ ორგანოთა ანგარიშვალდებულება, კონტროლი და გაწონასწორება - ეფექტური მმართველობის უზრუნველსაყოფად კომპანიის მართვა განხორციელდება კომპანიის მმართველი ყველა ორგანოს პასუხისმგებლობის მაღალი დონით, სამეთვალყურეო და აღმასრულებელ ორგანოთა უფლებამოსილებების მკაცრი გამიჯვნითა და დაცვით, კონტროლის ქმედითი მექანიზმის არსებობით.
- გამჭვირვალობა - უზრუნველყოფილია კომპანიის შესახებ ინფორმაციის, მათ შორის ფინანსური და ეკონომიკური, საკუთრებისა და მართვის შესახებ, ასევე, ბაზარზე საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გახსნის მექანიზმის ეფექტური არსებობა, გამჭვირვალებობა და საჯაროობა, რათა აქციონერებისა და პოტენციური

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

ინვესტორებისათვის უზრუნველყოფილ იქნეს შესაძლებლობა ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად.

- თანამშრომელთა ჩართულობა - უზრუნველყოფილია დაინტერესებული პირების, მით უფრო, კომპანიის თანამშრომლების ჩართულობა კომპანიის საქმიანობაში, კომპანიის აქტივების ზრდისათვის - მისი აქციებისა, თუ ფასიანი ქაღალდების ღირებულების გაზრდის მიზნით, თუ ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად, კომპანიის განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად.

- კონტროლი - უზრუნველყოფილია ეფექტური კონტროლის მექანიზმის არსებობა კომპანიის ფინანსურ და ბიზნეს ოპერაციებში, აქციონერთა უფლებათა და კანონიერ ინტერესთა დაცვისათვის.

აღ. დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

კონსტანტინე გაგუა

ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

ეკატერინე თუშიშვილი

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

ინვესტორებისათვის უზრუნველყოფილ იქნეს შესაძლებლობა ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად.

- თანამშრომელთა ჩართულობა - უზრუნველყოფილია დაინტერესებული პირების, მით უფრო, კომპანიის თანამშრომლების ჩართულობა კომპანიის საქმიანობაში, კომპანიის აქტივების ზრდისათვის - მისი აქციებისა, თუ ფასიანი ქაღალდების ღირებულების გაზრდის მიზნით, თუ ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად, კომპანიის განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად.
- კონტროლი - უზრუნველყოფილია ეფექტური კონტროლის მექანიზმის არსებობა კომპანიის ფინანსურ და ბიზნეს ოპერაციებში, აქციონერთა უფლებათა და კანონიერ ინტერესთა დაცვისათვის.

აღ. დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი



კონსტანტინე გაგუა

ფინანსური დეპარტამენტის უფროსი



ეკატერინე თუშიშვილი

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

აუდიტორის მოსაზრება მმართველობით ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი მმართველობითი ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „ვაზიანი კომპანი“ (ს/კ406074019)-ს და მასთან დაკავშირებული შვილობილი კომპანიის საქმიანობას, მიზნებს ამოცანებსა და კომპანიის მართვის სტრუქტურას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ამავდროულად, მთელი სიზუსტით არის შეფასებული დარგში არსებული პოტენციური შესაძლებლობები და იდენტიფიცირებულია რისკები.

08 სექტემბერი 2025

აუდიტორი----- მაია კაპანაძე SARAS-A-492514

შპს „აუდიტ სოლუშენ გრუპ“ ს/ნ 405711939

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

აუდიტორის მოსაზრება მმართველობით ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი მმართველობითი ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „ვაზიანი კომპანი“ (ს/კ406074019) -ს და მასთან დაკავშირებული შვილობილი კომპანიის საქმიანობას, მიზნებს ამოცანებსა და კომპანიის მართვის სტრუქტურას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ამავდროულად, მთელი სიზუსტით არის შეფასებული დარგში არსებული პოტენციური შესაძლებლობები და იდენტიფიცირებულია რისკები.

08 სექტემბერი 2025

აუდიტორი

შაია კაპანაძე SARAS-A-492514

შპს „აუდიტ სოლუშენ გრუპ“ ს/ნ 405711939

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

შპს „ვაზიანი კომპანი“ 406074019

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ვაზიანი კომპანი“ -ის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის მის ფასს სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები ფასს-დან წარმოდგენილი და ახსნილი; და
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2025 წლის 08 სექტემბერს. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილია:

ად. დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

კონსტანტინე გაგუა

ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

ეკატერინე თუშიშვილი

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

შპს „ვაზიანი კომპანი“ 406074019

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ვაზიანი კომპანი“ -ის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის მის ფასს სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები ფასს-დან წარმოდგენილი და ახსნილი; და
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამეობა მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2025 წლის 08 სექტემბერს. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილია:

აღ. დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

კონსტანტინე გაგუა



ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

ეკატერინე თუშიშვილი



თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

აუდიტორის დასკვნა

მოსაზრება

ჩვენ მოვამზადეთ შპს „ვაზიანი კომპანი“ **406074019** (შემდგომში „კომპანია“) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგება“), რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის, ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა განმარტებით შენიშვნებს. ანგარიშგება მომზადდა მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს დედა კომპანიისა და შვილობილი კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებს. დედა კომპანია შპს „ვაზიანი კომპანი“ 406074019 ფლობს შვილობილ კომპანიას, რომელთა მიმართებით ფლობის წილები და მმართველობის მონაწილეობა შემდეგნაირად არის განსაზღვრული:

დედა კომპანია: შპს „ვაზიანი კომპანი“ 406074019

შვილობილი კომპანია: 1. ტალავერი (ს/N 405461904) – 100%

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება.
- ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ მოვამზადეთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია. ჩვენ დამოუკიდებლობით ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

მოსაზრება

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „ვაზიანი კომპანი“ (406074019)-ს და მასთან დაკავშირებული შვილობილი კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობასა და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

08 სექტემბერი 2025

აუდიტორი----- მაია კაპანაძე SARAS-A-492514


შპს „აუდიტ სოლუმენ გრუპ“ ს/ნ 405711939

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

მოსაზრება

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „ვაზიანი კომპანი“ (406074019)-ს და მასთან დაკავშირებული შვილობილი კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობასა და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

08 სექტემბერი 2025

აუდიტორი -----მაია კაპანაძე SARAS-A-492514

შპს „აუდიტ სოლუშენ გრუპ“ ს/ნ 405711939

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

ფინანსური მდგომარეობა	2024	2023	2022
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	14	27
სხვა მხარეებზე ავანსებად გაცემული ფულადი სახსრები	14	51	87
გაცემული სესხები	171	0	0
მოკლევადიანი მარაგები	2883	2867	2825
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	386	1161	666
ბიოლოგიური აქტივები	9624	9337	9179
სხვა არამატერიალური აქტივები	6	9	11
ძირითადი საშუალებები	5272	5752	6450
სულ აქტივები	18362	19191	19245
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	1657	1287	0
სავაჭრო ვალდებულებები	0	0	1115
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	1756	1451	6410
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	14445	12769	6780
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	415	1629	1122
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები	43	96	39
სულ ვალდებულებები	18316	17232	15466
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	245	245	245
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-199	1714	3534
მშობელი საწარმოს მფლობელთათვის			
განკუთვნილი კაპიტალი	46	1959	3779
სულ საკუთარი კაპიტალი	46	1959	3779
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	18362	19191	19245
სულ მოკლევადიანი აქტივები	3460	4093	3605
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	3871	4463	8686

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 08 სექტემბერს

აღ. დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

კონსტანტინე გაგუა

ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

ეკატერინე თუშიშვილი

ფინანსური მდგომარეობა	2024	2023	2022
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	14	27
სხვა მხარეებზე ავანსებად გაცემული ფულადი სახსრები	14	51	87
გაცემული სესხები	171	0	0
მოკლევადიანი მარაგები	2883	2867	2825
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	386	1161	666
ბიოლოგიური აქტივები	9624	9337	9179
სხვა არამატერიალური აქტივები	6	9	11
ძირითადი საშუალებები	5272	5752	6450
სულ აქტივები	18362	19191	19245
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	1657	1287	0
სავაჭრო ვალდებულებები	0	0	1115
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	1756	1451	6410
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	14445	12769	6780
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	415	1629	1122
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები	43	96	39
სულ ვალდებულებები	18316	17232	15466
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	245	245	245
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-199	1714	3534
მშობელი საწარმოს მფლობელთათვის			
განკუთვნილი კაპიტალი	46	1959	3779
სულ საკუთარი კაპიტალი	46	1959	3779
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	18362	19191	19245
სულ მოკლევადიანი აქტივები	3460	4093	3605
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	3871	4463	8686

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 08 სექტემბერს

აღ. დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

კონსტანტინე გაგუა



ფინანსური დეპარტამენტის უფროსი



ეკატერინე თუშიშვილი

საქმიანობის შედეგები	2024	2023
ამონაგები	3182	4092
გაყიდვების თვითღირებულება	-2107	-2648
საერთო მოგება	1075	1444
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი	-993	-895
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	-22	-43
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი	-11	-6
საკონსულტაციო ხარჯი	-10	-20
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	-59	-9
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	-35	-37
იჯარის ხარჯი	-49	-55
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი	-31	-29
ცვტა / ამორტიზაციის ხარჯი	-483	-497
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-569	-1001
საოპერაციო მოგება	-1187	-1148
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) ბიოლოგიური აქტივების გადაფასებიდან	286	158
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტის გადაფასებიდან	-556	25
საპროცენტო ხარჯი	-291	-758
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-165	-97
მოგება / (ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან	-1913	-1820
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-1913	-1820

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 08 სექტემბერს

აღ. დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

კონსტანტინე გაგუა

ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

ეკატერინე თუშიშვილი

შპს „ვაზიანი კომპანი“ 406074019

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

საქმიანობის შედეგები	2024	2023
ამონაგები	3182	4092
გაყიდვების თვითღირებულება	-2107	-2648
საერთო მოგება	1075	1444
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი	-993	-895
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	-22	-43
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი	-11	-6
საკონსულტაციო ხარჯი	-10	-20
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	-59	-9
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	-35	-37
იჯარის ხარჯი	-49	-55
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი	-31	-29
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-483	-497
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-569	-1001
საოპერაციო მოგება	-1187	-1148
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) ბიოლოგიური აქტივების გადაფასებიდან	286	158
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტის გადაფასებიდან	-556	25
საპროცენტო ხარჯი	-291	-758
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-165	-97
მოგება / (ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან	-1913	-1820
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-1913	-1820

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 08 სექტემბერს

აღ. დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

კონსტანტინე გაგუა

ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

ეკატერინე თუშიშვილი

შპს „ვაზიანი კომპანი“ 406074019

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

ფულადი სახსრების მოძრაობა	2024	2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადები	-8	-13
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-8	-13
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	14	27
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	6	14

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 08 სექტემბერს

აღ. დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

კონსტანტინე გაგუა

ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

ეკატერინე თუშიშვილი

საქმიანობის შედეგები	2024	2023
ამონაგები	3182	4092
გაყიდვების თვითღირებულება	-2107	-2648
საერთო მოგება	1075	1444
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი	-993	-895
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	-22	-43
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი	-11	-6
საკონსულტაციო ხარჯი	-10	-20
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	-59	-9
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	-35	-37
იჯარის ხარჯი	-49	-55
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი	-31	-29
ცვტა / ამორტიზაციის ხარჯი	-483	-497
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-569	-1001
საოპერაციო მოგება	-1187	-1148
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) ბიოლოგიური აქტივების გადაფასებიდან	286	158
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტის გადაფასებიდან	-556	25
საპროცენტო ხარჯი	-291	-758
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-165	-97
მოგება / (ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან	-1913	-1820
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-1913	-1820

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 08 სექტემბერს

აღ. დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

კონსტანტინე გაგუა

ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

ეკატერინე თუშიშვილი

შპს „ვაზიანი კომპანი“ 406074019

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ისტორიული ღირებულება	დამფუძნებლის შენატანი	გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)	დივიდენდის გამოცხადება	სულ კაპიტალი
2022 წლის საბოლოო ნაშთი 31 დეკემბრისათვის	245	3,534	0	3,779
	245	3,534	0	3,779
2023 წლის საბოლოო ნაშთი 31 დეკემბრისათვის	0	-1,820	0	-1,820
	245	1,714	0	1,959
2024 წლის საბოლოო ნაშთი 31 დეკემბრისათვის	0	-1,913	0	-1,913
	245	-199	0	46

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „ვაზიანი კომპანი“ (შემდგომში – კომპანია) დაფუძნდა 2012 წლის 27 ივლისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიულ–სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს). საიდენტიფიკაციო კოდი: 406074019, კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თელავი, მშვიდობის ქ., №42. კომპანიის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელია: კონსტანტინე გაგუა (პ/ნ: 01026001004). კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს:

- ▶ ყურძნის მოყვანა;
- ▶ ღვინის წარმოება ყურძნისაგან;
- ▶ საბითუმო ვაჭრობა ალკოჰოლიანი სასმელებით;
- ▶ საცალო ვაჭრობა სასმელებით სპეციალიზებულ მაღაზიებში.

შპს „ვაზიანი კომპანი“ (ს/ნ: 406074019) არის დედა კომპანია, რომელსაც ჰყავს შვილობილი კომპანია:

1. ტალავერი (ს/ნ 405461904) – 100%

1.3 კონსოლიდაციის პრინციპები - სააღრიცხვო სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით მშობელი საწარმო ვალდებულია წარადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, რომელშიც ასახული და განმარტებული იქნება კონსოლიდირებული ფინანსური მაჩვენებლები კონტროლის არსებობა და პრინციპები. წინამდებარე სტანდარტი ადგენს ბუღალტრული აღრიცხვის მოთხოვნებს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. ამავდროულად, განმარტავს საინვესტიციო საწარმოს და ადგენს გარკვეული ტიპის სტანდარტებს სააღრიცხვო პოლიტიკისათვის.

1.4 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება - საწარმოთა ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება, რომელშიც მშობელი საწარმოსა და მისი შვილობილი საწარმოების აქტივები, ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯები და ფულადი ნაკადები წარდგენილია, როგორც ერთი ეკონომიკური სუბიექტის აქტივები, ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯები და ფულადი ნაკადები.

1.5 ტერმინთა განმარტება

მშობელი საწარმო - საწარმო, რომელიც აკონტროლებს ერთ ან რამდენიმე სხვა საწარმოს;

შვილობილი საწარმო - საწარმო, რომელსაც აკონტროლებს სხვა საწარმო;

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

არამაკონტროლებელი წილი - შვილობილი საწარმოს სააქციო კაპიტალი, რომელიც მშობელ საწარმოს არ ეკუთვნის არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ.

1.6 კონტროლი - ინვესტორი მაშინ აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს, თუ მას გააჩნია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი: ა) უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით; ბ) ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან ან გააჩნია ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება; გ) შესაძლებლობა აქვს, გავლენა მოახდინოს შემოსავლებზე.

1.7 უფლებამოსილება - რელევანტური საქმიანობის მართვის შესაძლებლობა, წილობრივი ინსტრუმენტებით მინიჭებული ხმის უფლება, საქონლის ან მომსახურების გაყიდვა და ყიდვა; ფინანსური აქტივების მართვა მათი ვადის განმავლობაში (მათ შორის, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში); აქტივების შერჩევა, შეძენა, ან გასხვისება; ახალი პროდუქტების, ან პროცესების სამეცნიერო კვლევა და დამუშავება; დაფინანსების სტრუქტურის განსაზღვრა, ან დაფინანსების მოპოვება.

1.8 კონსოლიდაციის პროცედურები - გაერთიანებულია მშობელი საწარმოსა და მისი შვილობილი საწარმოების აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლების, ხარჯებისა და ფულადი ნაკადების ანალოგიური მუხლები; ბ) ელიმინირებულია მშობელი საწარმოს მიერ თითოეულ შვილობილ საწარმოში ფლობილი ინვესტიციების საბალანსო ღირებულება; გ) მთლიანად ელიმინირებულია შიდაჯგუფური აქტივები და ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავლები, ხარჯები და ფულადი ნაკადები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფში შემავალ საწარმოთა შორის განხორციელებულ ოპერაციებთან.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

2.1 ანგარიშგების მომზადების საფუძველი - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის დარიცხვის და ისტორიული ღირებულების პრინციპების გამოყენებით.

ისტორიული ღირებულების პრინციპის მიხედვით, აქტივების აღრიცხვა ხდება მათი შეძენის დროს გადახდილი ფულადი სახსრების ან მათი ეკვივალენტების ოდენობით, ან იმ რეალური ღირებულებით, რომელიც უნდა გადახდილიყო მათი შეძენის მომენტში. ვალდებულებები აღირიცხება იმ აქტივის თანხის სიდიდით, რომელიც მიღებულია მოცემული ვალდებულების სანაცვლოდ; ზოგიერთ შემთხვევაში კი იმ თანხით, რომლის კომპანიიდან გასვლა მოსალოდნელია ამ ვალდებულების დასაფარად კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

დარიცხვის მეთოდის თანახმად, სამეურნეო ოპერაციების შედეგებისა და სხვა მოვლენების აღიარება

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

ხდება მათი მოხდენისთანავე (და არა ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების მიღებისა და გადახდის დროს). ამასთან ისინი ტარდება სათანადო ბუღალტრულ დოკუმენტებში და აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელსაც განეკუთვნება.

2.2 შესაბამისობის განცხადება.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულია სტანდარტის შესაბამისად.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

2.3 ფინანსური ანგარიშგების საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტა - კომპანიის საოპერაციო და სააღრიცხვო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი (“GEL”).

2.4 საანგარიშგებო პერიოდი - ჩვეულებრივ საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს პერიოდს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

2.5 ოპერაციები სხვა ვალუტაში - ოპერაციები, რომლებიც ხორციელდება ფუნქციონალური ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში, კონვერტირდება ლარში იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა ეს ოპერაცია განხორციელდა. უცხოური ვალუტის გადაფასება - უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარებში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

2.6 ფული და ფულის ეკვივალენტები - ფული და ფულის ეკვივალენტები არის ანგარიშგების ისეთი მუხლი, რომლის კონვერტირება ნაღდ ფულში შესაძლებელია ერთ დღეში. ფული და ფულის ეკვივალენტები ბალანსში ასახულია პირვანდელი ღირებულებით.

2.7 მარაგები - მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. კომპანიაში აუდიტის მიმდინარეობის პროცესში ჩატარდა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების, მარაგების ინვენტარიზაცია. შესაბამისად, შეიქმნა საინვენტარიზაციო კომისია, რომელმაც დაადგინა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დანაკლისი/ზედმეტობა და მისი ასახვა მოხდა საბუღალტრო ჩანაწერებში.

2.8 ძირითადი საშუალებები - თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა უნდა გახორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა აქტივის ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში განვითებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. კომპანიის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება საწარმოს მიერ. გათვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება

ცვეთა. ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწრა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

ჯგუფი	მომსახურების ვადა
კომპიუტერული ტექნიკა და აღჭურვილობა	5
საოფისე ავეჯი	5
სატრანსპორტო საშუალებები	8
ინვენტარი	5
ნაგებობები	20

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და კორექტირება, აუცილებლობის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

2.9 არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს მისი შესყიდვის ფასს, მათ შორის საიმპორტო ბაჟს და უკანდაუბრუნებად გადასახადებს, სავაჭრო დისკონტების და ფასდაკლებების დაქვითვის შემდეგ და აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო ნებისმიერ სხვა პირდაპირ ხარჯს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები ფასდება თვითღირებულებისთვის დარიცხული ამორტიზაციისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

კომპანიის შიგნით წარმოქმნილი არამატერიალური აქტივები

როგორც წესი, განვითარების ხარჯები წარმოადგენენ კომპანიისთვის მნიშვნელოვან შიგნით წარმოქმნილ არამატერიალურ აქტივებს. ინდივიდუალურ პროექტებთან დაკავშირებული ხარჯების კაპიტალიზაცია ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია პროექტის სამომავლო ეკონომიკური სარგებელი და დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები: (ა) შესაძლებელია განვითარების ხარჯების

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

ზუსტად შეფასება, (ბ) დადასტურებულია პროდუქტის ტექნიკური შესაძლებლობები და (გ) ხელმძღვანელობას აქვს განზრახვა და უნარი დაასრულოს არამატერიალური აქტივი და გამოიყენოს ან გაყიდოს იგი.

კომპანიის მიერ მართულ ბიზნესის სახეობაზე და კომპანიის მიერ მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, როგორც წესი, გონივრულად დადასტურდება ის ფაქტი, რომ არამატერიალური აქტივი წარმოქმნის სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს, პროდუქტის ბაზარზე გასვლამდე მცირე ხნით ადრე. აღნიშნულ დრომდე გაწეული ხარჯები არ ექვემდებარება აღდგენას.

კომპანიის შიგნით წარმოქმნილი არამატერიალური აქტივები ძირითადად დაკავშირებულია სუბიექტის შიგნით განვითარებულ პროგრამულ უზრუნველყოფასთან და დაპატენტებულ საავტორო გადაცემებსა და პროცესებთან.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, კომპანიის შიგნით წარმოქმნილი არამატერიალური აქტივები ექვემდებარებიან ზემოთ მითითებულ, ცალკე შემენილი არამატერიალური აქტივების სააღრიცხვო პოლიტიკას.

ამორტიზაცია

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია წარმოებს იმგვარად, რომ მოხდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწრა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურეობის 5-წლიანი ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

2.10 განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ასეთი აქტივების საბალანსო ღირებულება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს შემოწმდება გაუფასურებაზე და აქტივის გაუფასურების შემთხვევაში, ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება-ზარალის ანგარიშგების ხარჯებში გატარებით. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდუდესი აქტივის გამოყენებით მიღებულ ეკონომიკურ სარგებელსა და რეალიზაციის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალურად აქტივისთვის, იმ შემთხვევაში თუ აქტივი წარმოქმნის ფულადი სახსრებს სხვა აქტივებისგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. ხოლო თუ აქტივი წარმოქმნის ფულად სახსრებს სხვა აქტივებთან ან აქტივთა ჯგუფთან ერთად, მაშინ ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის, რომელზეც მიბმულია აქტივთა ჯგუფი.

გამოყენების ღირებულება არის აქტივის/ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მომავალში გამოყენების შედეგად მისაღები ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება. მიმდინარე ღირებულება გამოითვლება დაბეგვრამდე დისკონტირებული განაკვეთებით, რომლებიც ასახავენ დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და იმ აქტივთან/ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულთან დაკავშირებულ რისკებს, რომლის გაუფასურების შეფასებაც ხდება.

2.11 განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია

განუსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივი განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურეობის ვადით არ ამორტიზდება

2.12 პროცენტები

საწარმომ ცალ-ცალკე უნდა წარადგინოს პროცენტების სახით მიღებული და გაცემული ფულადი

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

ნაკადები. ამგვარი ფულადი ნაკადები წლების მანძილზე უცვლელად უნდა იყოს კლასიფიცირებული როგორც საოპერაციო, საინვესტიციო ან საფინანსო საქმიანობა. ფასს – საწარმოს უფლება აქვს, გადახდილ პროცენტებს, ასევე მიღებულ პროცენტებსა და დივიდენდებს მიანიჭოს საოპერაციო ფულადი ნაკადების კლასიფიკაცია, რადგან ისინი მონაწილეობს მოგების ან ზარალის განსაზღვრაში. მეორე მხრივ, გადახდილი პროცენტების, მიღებული პროცენტებისა კლასიფიცირება შესაძლებელია, როგორც საფინანსო და საინვესტიციო ფულადი ნაკადები, შესაბამისად, რადგან ამგვარი ფულადი ნაკადები ფინანსური რესურსების მოზიდვის დანახარჯებია, ან ინვესტიციებიდან მიღებული უკუგება.

2.13 ფინანსური აქტივები

კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი, მათ შორის სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები, გაცემული სესხები, შეზღუდული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრები ბანკში, მოქცეულია სესხებისა და დებიტორული დავალიანებების შეფასების კატეგორიაში.

სესხები და დებიტორული დავალიანებები არაკოტირებული, არაწარმოებული ფინანსური აქტივებია, რომელთაც გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახადი, მათ გარდა, რომლის გაყიდვასაც გეგმავს კომპანია უახლოეს მომავალში. ისინი შეტანილია მიმდინარე აქტივებში, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც დაფარვის ვადა აღემატება 12 თვეს ანგარიშგების პერიოდის დასრულების შემდეგ. ისინი კლასიფიცირებულია, როგორც არამიმდინარე აქტივები.

სესხები და დებიტორული დავალიანებები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით პლუს საოპერაციო ხარჯები და შედეგად აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეს გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის განხორციელებულ ყველა გადახდილ და მიღებულ საკომისიოს, რომელიც წარმოადგენს მოქმედი საპროცენტო განაკვეთის, ტრანზაქციის ხარჯების და ყველა სხვა საპრემიო შენატანის თუ დისკონტის განუყოფელ ნაწილს. მოგება და ზარალი შესულია მოგება-ზარალის უწყისში, როდესაც სესხები და დებიტორული დავალიანებები არ არის აღიარებული ან გაუფასურებულია, ასევე ამორტიზაციის პროცესში.

2.14 ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

2.15 სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.

2.16 უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში (გარდა იმ შემთხვევისა, თუ გადავადებულია სხვა სრულ შემოსავალში, როგორც ფულადი ნაკადების ჰეჯირება).

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი:

წელი	USD	EUR
2024	2.8068	2.9306
2023	2.6894	2.9753
2022	2.7020	2.8844

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და სამართლიანი ღირებულებით ასახული არაფულადი პუნქტები კონვერტაციას ექვემდებარება იმ დღის გაცვლითი კურსის გამოყენებით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა.

2.14 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი არის წლიური მოგების 15%. 2016 წელი ეს არის ბოლო საანგარიშგებო პერიოდი, რომლის დროსაც მოგების გადასახადის გაანგარიშება მოხდა ამ პრინციპით.

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები გაურკვეველი ვადის ან ოდენობის არაფინანსური ვალდებულებებია. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა აღნიშნული ვალდებულების დაფარვისათვის და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

2.17 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები, და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

2.18 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარტოოდენ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ ურთიერთგადაფარვა მოხდეს ნეტო სიდიდით, ან მოხდეს აქტივების

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად.

2.19 შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

ამონაგების აღიარება

ამონაგები აღიარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს. თუმცა, როდესაც წარმოიქმნება განუსაზღვრელობა თუ რამდენად ამოღებადია უკვე ამონაგებად აღიარებული თანხა, ის თანხა, რომლის ამოღებაც შეუძლებელია ან რომლისთვისაც ანაზღაურების მიღება მოსალოდნელი აღარ არის, თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირების ნაცვლად აღიარდება ხარჯის სახით. როგორც წესი, საწარმოს შეუძლია გააკეთოს საიმედო შეფასება მას შემდეგ, რაც ის შეთანხმდება: (ა) მხარეების მიერ გაჩეულ და მიღებულ მომსახურებასთან დაკავშირებით თითოეული მხარის იურიდიული ძალის მქონე უფლებაზე. (ბ) ანაზღაურებაზე; და (გ) ანგარიშსწორების წესებსა და პირობებზე. საწარმოსთვის, ასევე, საჭიროა ეფექტური შიდა ფინანსური ბიუჯეტირებისა და საანგარიშგებო სისტემის ქონა. მომსახურების შესრულების განმავლობაში საწარმო გადახედავს და, საჭიროების შემთხვევაში, შეასწორებს ამონაგების შეფასებებს. ასეთი შესწორებები აუცილებლად არ მიუთითებს ოპერაციის შედეგის საიმედოდ შეფასების შეუძლებლობაზე.

2.20 აქტივების გაუფასურება, (გარდა მარაგისა) საწარმო მის აქტივებს გარდა მარაგისა, რომელიც გაუფასურებაზე ამოწმებს, მხოლოდ მაშინ თუ არსებობს გაუფასურების ინდიკატორები, რომლებიც მოითხოვს, რომ შეფასდეს ყოველის საანგარიშგებო თარიღისათვის. აქტივების გაუფასურება, გარდა მარაგისა, ფასდება ინდივიდუალურ დონეზე.

2.21 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა

კომპანია ახორციელებს შეფასებებსა და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა კომპანიის ხელმძღვანელობა ასევე მიმართავს გარკვეულ განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილებებია.

შენიშვნები

შენიშვნა 1. ძირითადი საშუალებები

	მიწა/შენობა- ნაგებობა	მანქანა- დანადგარები	კომპიუტერულ აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ
საბალანსო ღირებულება 2021 წელი	3,329	3,330	40	244	19	6,962
2022 წელი						
ცვეთა	-72	-430	-6	-16	-4	-528
შემოსვლა	0	72	0	13	6	91
გასვლა	0	-76	0	0	0	-76
საბალანსო ღირებულება 2022 წელი 31 დეკემბერი	3257	2,896	34	241	21	6,450
ცვეთა	-71	-239	-3	-13	-8	-340
შემოსვლა	0	2	6	2	0	10
გასვლა	0	-368	0	0	0	-368
საბალანსო ღირებულება 2023 წელი	3186	2291	37	230	7	5752
ცვეთა	71	393	7	8	2	481
შემოსვლა		3			2	5
გასვლა	0	0	0	3		3
საბალანსო ღირებულება 2024 წელი	3115	1901.266	30	219	6.692	5272

ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები შედგება:

ყურძნის მოყვანა;

ღვინის წარმოება ყურძნისაგან;

საბითუმო ვაჭრობა ალკოჰოლიანი სასმელებით;

საცალო ვაჭრობა სასმელებით სპეციალიზებულ მაღაზიებში.

შენიშვნა 9. არასაოპერაციო შემოსავლები

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც მოსალოდნელ სამომავლო ფულად გადახდებს/შემოსავლებს ფინანსური ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის, ან სადაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში ადისკონტირებს ფინანსური აქტივის თუ ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე (მსს ფასს 11.20 განყოფილება)

საპროცენტო შემოსავლების ფორმირება ხდება თავისუფალ ფულად სახსრებზე საპროცენტო სარგებლის დარიცხვის შედეგად.

შენიშვნა 10. სხვა შემოსავალი

ეს ჯგუფი მოიცავს ვალუტის კურსის ცვლილების შედეგად წარმოქმნილ დადებით შედეგს.

კურსთაშორის სხვაობით გამოწვეული შედეგები.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში (უცხოურ ვალუტაში) განხორციელებული გარიგებები აისახებიან გარიგების თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული ერთეულები ამ თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით ექვემდებარებიან გადაფასებას უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის თარიღისთვის არსებული კურსით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში ფასდებიან ისტორიული ღირებულების გათვალისწინებით და არ ექვემდებარებიან გადაფასებას.

საკურსო სხვაობები ფულად ერთეულებზე აისახება მოგებასა და ზარალში მათი ფაქტიური განცდის პერიოდში.

შენიშვნა 13. პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლებისგან. კომპანიას ყავს როგორც შტატიანი ასევე შტატგარეშე თანამშრომლები, თუმცა მათი სახელფასო ხარჯები და შენატანები საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში არ განსხვავდება საქართველოს საგადადასახადო კოდექსის შესაბამისად. გასათვალისწინებელია ის ფაქტი რომ პერსონალის ხარჯები განაწილებულია ეკონომიკური შინაარსის მიხედვით ხარჯებში (წარმოების, მიწოდების და საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი). საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ხელფასის, მივლინების და ცვეთის ხარჯები.

შენიშვნა 14. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 08 სექტემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ პერიოდის მოვლენები არ წარმოადგენს მაკორექტირებელ მოვლენებს, რომელთაც შეიძლება გავლენა იქონიოს აქტივებსა და ვალდებულებებზე, რომლებიც აღიარებული იყო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ან შემოსავალზე, ხარჯებსა ან ფულადი სახსრების მოძრაობაზე, რომლებიც აღიარებული იყო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

შენიშვნა 15. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლის მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლის შენატანების რეალური ღირებულებით.

შენიშვნა 16. დივიდენდი

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება, როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

შენიშვნა 17. იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას.

შენიშვნა 18. ბიოლოგიური აქტივი

სტანდარტის შესაბამისად, კომპანია ყოველწლიურად აფასებს მის ბალანსზე აღრიცხულ ბიოლოგიურ აქტივს, რის შედეგადაც ხდება ბიოლოგიური აქტივის გადაფასების დადგენა და შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა. ბიოლოგიური აქტივის შეფასებას ახდენს სერთიფიცირებული კომპანია, რომელიც კომპანიას წარუდგენს შესაბამისად ბიოლოგიური აქტივის შეფასების დასკვნას. 2024 და 2023 საანგარიშო პერიოდში კომპანიის ბალანსზე აღრიცხულ ბიოლოგიურ აქტივს აქვს შემდეგი ღირებულება (თანხები წარმოდგენილია ათას ლარში) :

	2024	2023
ბიოლოგიური აქტივი	9,624	9,337

ზოგადი და ადმინისტრაციული დანახარჯები (2024 წელი)**თანხები წარმოდგენილია ათას ლარში**

ანგარიში	ანგარიშის დასახელება	თანხა
7310	რეკლამის ხარჯები	22
7312	ლაბორატორიული ანალიზის ხარჯი	5
7390	მიწოდების სხვა ხარჯები	97
7395	საშუამავლო მომსახურება	59
7396	სავაჭრო ნიშნის გამოყენების ხარჯი	50
7410	შრომის ანაზღაურება	993
7412	საწვავის-თხევადი აირის ხარჯი	9
7413	საპენსიო ფონდი	21
7420	საიჯარო ქირა	49
7426	საკანცელარიო ხარჯები	4
7430	საოფისე ინვენტარის ხარჯები	0
7435	კომუნიკაციის ხარჯები	20
7436	დაზღვევის ხარჯები	13
7437	გზავნილები	1
7440	ტრანსპორტის შენახვის ხარჯები	6
7442	ქარხნის ხარჯი	72
7443	ტრანსპორტით მომსახურება	26
7447	ელექტროენერგია, წყალი და გაზი	15
7450	კომპიუტერის ხარჯები	20
7451	საკონსულტაციო ხარჯები	10
7452	აუდიტის მომსახურება	11
7453	სამეურნეო ხარჯი	3
7455	ცვეთა და ამორტიზაცია	483
7465	სხვა საგადასახადო ხარჯები	59
7470	საბანკო ხარჯები	11
7475	მივლინების ხარჯები	15
7485	წარმომადგენლობითი ხარჯები	3
7490	სხვა საერთო ხარჯები	3

მსჯელობები და შეფასების განუსაზღვრელობის საკვანძო მიზეზები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გააკეთა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, რომლებსაც ზეგავლენა აქვთ გარკვეული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებზე, ხარჯებსა და განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სხვა ინფორმაციაზე. კომპანია პერიოდულად ამოწმებს ასეთ შეფასებებს და დაშვებებს, რათა დარწმუნდეს, რომ ისინი მოიცავს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ხელთ არსებულ ყველა სათანადო ინფორმაციას. თუმცა, ეს არ გამორიცხავს რეალური ციფრების შეფასებულ მონაცემებთან განსხვავებულობის ფაქტს.

ქვემოთ განხილულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში მიღებული შეფასებები და დაშვებები, რომლებსაც მეტწილად ზეგავლენა აქვთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ რაოდენობებზე, და რომლებიც შემდგომი ფინანსური წლის განმავლობაში იწვევენ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების არსებითი კორექტირების რისკს.

1. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. პერიოდულად, საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარი შეფასებებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიადგება სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

სასამართლო დავები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ ყოფილა ჩართული რაიმე ტიპის სასამართლო დავაში. •

საგადასახადო კანონმდებლობა – საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში არის არაერთმნიშვნელოვანი დებულებები, რომლებიც ტოვებს მათი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტირების შესაძლებლობას. კანონმდებლობის მოთხოვნების მენეჯმენტის მიერ მიღებული ინტერპრეტაცია, რომელიც გამოიყენება კომპანიის ტრანზაქციებისა და საქმიანობის აღრიცხვისა და მართვისათვის შეიძლება ექვსი ქვეშ დადგეს ან არასწორად იქნეს მიჩნეული რეგიონალური და ცენტრალური მარეგულირებელი ორგანოების მიერ. დასაშვებია, რომ საგადასახადო ორგანოები უფრო ხისტად დაიცავენ კანონმდებლობის მოთხოვნების საკუთარ ინტერპრეტაციას. შედეგად, შესაძლოა დარიცხულ იქნას მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.